ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1858101

ნომერი: AR1303269

თარიღი : 21.04.2015

გაცემის თარიღი : 24.04.2015

გაცნობის თარიღი : 26.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 26 მაისის სახელობის მოედანი, N 1 , (ნაკვეთი 33/110) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იონა ქობულია პ/ნ 35001002838
- რუსთავი XVII მ/რ კორ. 9 ბ. 41

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქგეგმარებით კარკასზე, ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამჟამად არსებული საპროექტო შენობა ახალაშენებულია, გარკვეულწილად ჩამოყალიბებული იერსახის მატარებელია და წარმოადგენს ერთ მთლიან არქიტექტურულ ელემენტს, სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სარეკლამო აბრის მოწყობა მიზანშწონილად არ მიაჩნია. შესაძლებელია მოეწყოს მაქსიმალურად მცირე ზომის მხოლოდ მოცულობითი ასოები აბრის (ანუ დაფის) გარეშე, რაც შეეხება შუაში განთავსებულ სიმბოლოს, შესაძლებელია მოეწყოს ესეც მაქსიმალურად მცირე ზომის, შუა ნაწილში წარწერებს შორის ერთ ხაზზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით.

გარდა ამისა:

1. წარმოსადგენია მესაკუთრეს – შპს "ფროფერთსა" და "ფუდმარტს" შორის დადებული იჯარის ხელშკრულება;
2. წარმოდგენილი ქვექირავნობის ხელშკრულებიდან ჩანს, რომ მისი მოქმედების ვადა 1 წელზე მეტია. საჯარო რეესტრის შესახებ მე-11 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც იჯარის ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარე არის კერძოს სამართლის ურიდიული პირი და ხელშეკრულება დადებულია 1 წელზე მეტი ვადით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. აქვე გაითვალისწინეთ, რომ თუ შპს "ფროფერთსა" და "ფუდმარტს" შორის დადებული იჯარის ხელშკრულება 1 წელზე მეტი იქნება, ისიც უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრის ამონაწერში;
3. ვინაიდან არსებული საპროექტო შენობა ახალაშენებულია, საჭიროა ზემოაღნიშნული ცვლილება შეთანხმდეს პროექტის ავტორთან და პროექტის ავტორის (არქიტექტორის) შესაბამისი თანხმობა ატვირთულ იქნას "ფაილის მიმაგრება" ველში (ან ასევე შესაძლებელია საპროექტო შენობაზე ცვლილებები დამუშავებულ იქნას პროექტის ავტორის მიერ). იმ შემთხვევაში თუ საპროექტო შენობაზე ცვლილება დამუშავებული იქნას პროექტის ავტორის მიერ, მაშინ ამის შსახებ მიუთითეთ მოთხოვნის ტექსტში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.